სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 165

2021 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

2021 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ დებულებისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 ივლისის N129/ნ ბრძანების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის, „2021 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2021 წლის 23 ივლისის №105 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1382050, 17.12.2021) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2021 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. გამარჯვებული პროექტების წამყვანმა ორგანიზაციებმა არაუგვიანეს 2021 წლის 22 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ წერილობითი დადასტურება იმის შესახებ, რომ არა აქვთ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება.

005500

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2021 წლის 30 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2021 წლის 17 დეკემბრის №165 ბრძანებით

2021 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში „სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ გამარჯვებული პროექტები

N	პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია
1	HE-21-873	დიალექტური კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში _ ქართული ენის ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	HE-21-103	ოსმალურ საეკლესიო დავთრებში დაცული ცნობები ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ	სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3	HE-21-1739	სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4	HE-21-981	სამეგრელო - რეგიონის წარსული და კულტურის ისტორია	საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი
5	HE-21-977	XVII-XIX საუკუნეების ევროპული რელიგიური მისიების წყაროთა ინტერპრეტაციისათვის. საქართველო ადრეული გლობალური ისტორიისა და მოდერნულობის პერსპექტივიდან	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი